

ცნობილი ებრაელი პოეტი ქალი **ჰამუთალ ბარ-იოსეფი** დაიბადა 1940 წელს. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, რუსულ, უკრაინულ, იაპონურ, არაბულ, შვედურ, ნორვეგიულ, დანიურ, რუმინულ ენებზე და იდიშზე. იგი ავტორია 13 პოეტური, 7 პროზაული კრებულისა, ასევე, ლიტერატურული კვლევებისა და ესსების 6 წიგნისა. სხვადასხვა დროს ნათარგმნი აქვს ინგლისელი, ფრანგი და რუსი (მათ შორის რუსული პოეზიის რჩეული ორტომეული) ავტორების წიგნები. არის ებრაული ლიტერატურის დოქტორი, თავისი ქვეყნის გარდა ლექციების კურსს კითხულობდა პარიზის, მოსკოვის და კოლუმბიის (ნიუ-იორკი) უნივერსიტეტებში. არის მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

მისი პოეზია გამოირჩევა ღრმა ინდივიდუალიზმით, თემატური სპექტრით, ინტიმით: ტრადიციული და ნოვატორული პოეტური ხერხების სინთეზით, ვერსიფიკაციული სიახლეებით, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური წიაღსვლებით: ისტორიზმი, პუბლიცისტური სტილი შერწყმულია მრავალფეროვან და მრავალპლასტიან ხილვებთან და ყველაფერი ეს საინტერესო მხატვრულ და ენობრივ სამოსელშია მოქცეული.

ქართულად ქვეყნდება პირველად.

978-9941-25-662-2

# ჰამუთალ ბარ-იოსეფ



# ეოლოს ბუჩქი